



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი

19 ივლისი 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #124-21
2021–2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში მაგისტრატურაში მიღების
ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის, 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის № 03-21 საოქმო გადაწყვეტილებით), „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების 29-ე მუხლის საფუძველზე, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ მე-5 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021–2022 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე მიღება ცხადდება 2-ჯერ. გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში როგორც წესი ჩატარდება ერთსა და იმავე დღეს.
2. მაგისტრატურაში ჩარიცხვის ვადები განსაზღვრულია შემდეგი სახით:
 - 2.1. პირველ ჯერზე მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – 16 აგვისტოდან 2 სექტემბრის ჩათვლით;
 - 2.1.1. ტესტირება უცხო ენაში (*იმ საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის ჩაბარება*) და სპეციალობაში – 4 სექტემბერი, 6 სექტემბერი და 7 სექტემბერი;
 - 2.1.1.1. გამოცდა სპეციალობაში (გასაუბრება) - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე - 6 სექტემბერი; თეოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე - 6 და 7 სექტემბერი; ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე - 7 სექტემბერი.
 - 2.1.2. გამოცდის/ტესტირების შედეგების გამოქვეყნება - 9 სექტემბერი;
 - 2.1.3. აპელაციაზე განცხადებები მიღება - 10 სექტემბერი 12:00 საათიდან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში.
 - 2.1.4. აპელაციის განხილვა და შედეგების გამოცხადება - 10 სექტემბერი 19:00 საათამდე.
 - 2.1.5. ხელშეკრულების დადება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 10-13 სექტემბერი.
 - 2.2. მეორე ჯერზე მაგისტრანტობის კანდიდატთა საბუთების მიღება (რეგისტრაცია) – 8 სექტემბერიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

- 2.2.1. ტესტირება უცხო ენაში (იმ საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ უცხო ენის ჩაბარება) და სპეციალობაში – 11 სექტემბერი
- 2.2.2. გამოცდის/ტესტირების შედეგების გამოქვეყნება - 13 სექტემბერი.
- 2.2.3. აპელაციაზე განცხადებების მიღება – 14 სექტემბერი 12:00 საათიდან 17:00 საათამდე დროის მონაკვეთში.
- 2.2.4. აპელაციის განხილვა და შედეგების გამოცხადება – 14 სექტემბერი 19:00 საათამდე.
- 2.2.5. ხელშეკრულების დადება მაგისტრანტობის კანდიდატებთან - 14-16 სექტემბერი
- 2.3. ჩარიცხვის ბრძანების მომზადება - 17 სექტემბერი.
3. მაგისტრანტობის კანდიდატი რეგისტრაციისათვის ავსებს სარეგისტრაციო განაცხადს ადგილზე ან ელექტრონული ფორმით: https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSdk-94ehA9aFIClsb2Z5k1KrPTPMinLG9kUf2teOMRIO_11Ug/viewform
4. გამოცდების შედეგების საფუძველზე, ხელშეკრულების დადებაზე წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს დოკუმენტაციის შემდეგი ნუსხა:
- 4.1. ფოტოსურათი (3X4) – ბეჭდური 1 ცალი და ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- 4.2. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- 4.3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- შენიშვნა: მაგისტრანტობის კანდიდატისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის წარდგენის შუძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია უსდ-ის მიერ გაცემული ცნობა ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ იმ პირობით, რომ მაგისტრანტობის კანდიდატი ჩარიცხვის სემესტრის დასრულებამდე უნივერსიტეტში წარმოადგენს დიპლომს.*
- 4.4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი დედნის წარმოდგენით;
- 4.5. სამაგისტრო საგამოცდო ბარათის ასლი დედნის წარმოდგენით;
- 4.6. უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 4.7. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. ამ ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 - დან 19:00 საათამდე, მისამართზე: კ. ქუთათელაძის ქ. №3.
6. ამ ბრძანებით განსაზღვრულ საკითხებზე დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი ტელ: 2422242 (შიდა 128), ელექტრონული ფოსტა: m.moqia@sabauni.edu.ge
7. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.
8. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და მარკეტინგის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ვაჟა ვარდიძე

